საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/09/2026

MES 3 26 0001154775

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 13 ივნისის №128 გადაწყვეტილებით.

2.2. “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) " სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2026 წლის 12 მარტის №305120 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2025 წლის 19 დეკემბრის №01-18/394 (ცენტრში რეგისტრაციის - №1811919) წერილით წარმოდგენილი "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასების განხორციელება.
2.3. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27[2]- ემუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით

დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ხელოვნების ისტორია და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით.
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 14 სექტმბრის №1190812 სხდომის ოქმის №12 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 14 სექტემბერს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.06.2019 N 128
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	

		ზ. გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32 ქ. ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14/09/2026
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	19/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე